ცენტრი წარმოადგენს მრავალფუნქციურ პლატ-ფორმას, რომელიც ფართო სპექტრის სერვისებს სთავაზობს ბენეფიციარებს, როგორიცაა:

- სოციალური კონსულტაცია;
- დასაქმებაში მხარდაჭერა;
- ფსიქოსოციალური მხარდაჭერა;
- სოციალური და კულტურული საქმიანობა;
- ენის გაცვლის კლუბები;
- იურიდიული კონსულტაცია (UNHCR პარტნიორის მიერ).

აქტივობების მთავარი მიზანია, ბენეფიციარების თვითუზრუნველყოფის ამაღლება და ადგილობრივ საზოგადოებასთან და ბენეფიციარებთან მშვი-დობიანი ურთიერთობის დამყარება.

ყველა აქტივობა ტარდება ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არსებული, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული სერ-ვისების შესავსებად, UNHCR-თან და სხვა პარ-ტნიორებთან მჭიდრო კონსულტაციითა და კოორ-დინაციით.

კომპონენტი IV

სოციალური დაცვა

პროექტის ფარგლებში შემუშავებულია და ფუნ-ქციონირებს რეფერალური სისტემა, რომე-ლიც ეფუძნება შემთხვევების მართვის მო-დელს. World Vision საქართველო ინტენსიურად მუშაობს ქვეყანაში არსებული სამთავრობო და არასამთავრობო სერვისების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მოწყვლადი ბენეფიციარები სათვის, მათ შორისაა უფლებების რეალიზაცია, ჯანდაცვა, სოციალურ-ეკონომიკური, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების საკითხები.

კერძოდ, ეს კომპონენტი მოიცავს:

- პოტენციური ბენეფიციარების რეგისტრაცია და შეფასება მოწყვლადობის კუთხით, რათა მოხდეს მათი საჭიროებების იდენტიფიცირება და შესაბამისი ჩარევის განსაზღვრა;
- სოციალური დაცვის სფეროში არსებულ ხარვეზებზე მუშაობა და პროექტის ბენე-ფიციარების დახმარება;
- UNHCR-ის მხარდაჭერა მრავალ-ფუნქციური ფულადი დახმარების პროგრამის განხორ-ციელებაში, რაც მოიცავს ბენეფიციართა იდენტიფიცირებას, შეფასებას და შესაბამის კომისიაზე წარდგენას;
- უფლებების ხელმისაწვდომობაზე სავარაუ-დო უარის შემთხვევებზე მუშაობა, ისეთი როგორიცაა სკოლა, ჯანდაცვის დაწესებუ-ლებები, განსახლების საკითხები, თუ ასეთი შემთხვევები წარმოიქმნება;
- რეგულარული ვიზიტები მარტყოფის მიმღებ ცენტრში და ფსიქო-სოციალური სერვისების აუთსორსინგი;
- მხარდაჭერა დასაქმებისა და პროფესიული მომზადების საკითხებში.

პროექტის ოთხივე კომპონენტი ურთიერთდაკავ-შირებულია, ეფუძნება და ავსებს ერთმანეთს, წარ-მოადგენს ცვლილებისადმი სინერგიულ მიდგომას.

თბილისი, ჟიული შარტავას ქ. 67ბ.
ბათუმი, მაზნიაშვილის ქ.40
+995 577 045645
multiservicecentre.wv@gmail.com
www.worldvision.ge

ეს პუბლიკაცია შექმნილია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია World Vision საქართველო და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის (UNHCR) შეხედულებებს.

World Vision
GEORGIA

თემის მობილიზაცია და თანამონაწილეობა

საქართველოში მცხოვრები თავშესაფრის მაძიებლები, საერთაშორისო დაცვის ქვეშ მყოფი პირები, მოქალაქეობის არმქონე და მოქალაქეობის არქონის სტატუსის დადგენის პროცესში მყოფი პირები

UNHCR
The UN Refugee Agency

პროექტის მიზნები და ამოცანები

პროექტის „თემის მობილიზაცია და თანამონაწილეობა“ ძირითადი მიზანია ხელი შეუწყოს თავშესაფრის მაძიებელთა, ლტოლვილთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციას საქართველოში, ასევე მასპინძელ თემებში მათი ინტეგრაციის შესაძლებლობების გაძლიერებას.

პროექტი მიზნად ისახავს თემზე დაფუძნებული დაცვის გაძლიერებას სათემო ჯგუფების შექმნის გზით, რაც ხელს უწყობს ბენეფიციართა შესაძლებლობების განვითარებას, ადგილობრივ თემთან მშვიდობიან თანაარსებობასა და ინტეგრაციის პროცესს.

პროექტი ასევე მუშაობს სოციალური დაცვის კუთხით არსებული სისტემური ხარვეზების აღმოფხვრაზე ეფექტური რეფერალური მექანიზმისა და ინდივიდუალური შემთხვევის მენეჯმენტის მიდგომაზე დაყრდნობით. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მოწყვლადი ბენეფიციარებისათვის (PoC) სხვადასხვა სახის დახმარებაზე ეფექტურ წვდომას სამედიცინო, ფსიქო-სოციალური, საგანმანათლებლო და დასაქმების მომსახურებების სფეროში.

UNHCR The UN Refugee Agency

World Vision GEORGIA

პროექტს **World Vision საქართველო** გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის **(UNHCR)** ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებს.

სამიზნე აუდიტორია

პროექტი ფარავს საქართველოს ხუთ რეგიონს, მათ შორისაა თბილისი, იმერეთი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქვემო ქართლი და კახეთი, ვინაიდან ბენეფიციართა უმრავლესობა ამ რეგიონებში ცხოვრობს.

სპეციფიკაციები

პროექტი მუშაობს ოთხ ძირითად კომპონენტზე:

კომპონენტი I

თემის მობილიზაცია და ახალგაზრდების გაძლიერება

პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს სამიზნე თემების მობილიზაცია და გაძლიერება, სათემო ჯგუფების ჩამოყალიბების გზით. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი, გადამზადებული, სათემო ჯგუფის ფასილიტატორები (CGF) მოქმედებენ თემის სახელით და მათი პრობლემების ადვოკატირებას უწყობენ ხელს. აღნიშნული მოდელით პროექტი უზრუნველყოფს, თემის დონეზე თვითდახმარების მექანიზმის შექმნას, რათა თემის წევრები გაუმკლავდნენ მათ წინაშე არსებულ გამოწვევებს და შეძლონ ინტეგრირება.

პროექტმა გამოავლინა და მოამზადა მოტივირებული ბენეფიციარები (PoC), რომლებსაც შეუძლიათ მუდმივად დაეხმარონ თემის წევრებს სოციალურ, იურიდიულ, ჯანდაცვისა და განათლების უფლებებთან და სერვისებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელების გზით.

პროექტი რეგულარულად ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და მომსახურების მიმწოდებლებთან ბენეფიციართა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების უკეთ რეალიზების მიზნით. გარდა ამისა, UNHCR-თან მჭიდრო თანამშრომლობით პროექტი ავითარებს და ავრცელებს საინფორმაციო ბუკლეტებსა და ბროშურებს უფლებებისა და ქვეყანაში არსებული ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ.

პროექტი ხელს უწყობს საქართველოს მოქალაქე და სამიზნე თემის წარმომადგენელი მოწყვლადი ახალგაზრდების უნარების გაძლიერებასა და ინტეგრაციას, ეხმარება ახალგაზრდებს ეკონომიკურად და სოციალურად რეალიზებაში და საზოგადოების მნიშვნელოვან აქტორად ჩამოყალიბებაში.

კომპონენტი II

მასპინძელი თემების ცნობიერების ამაღლება

სოციალური კავშირების განვითარება და თემის აქტიური ჩართულობა მასპინძელ ქვეყანაში ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი ხელშემწყობი ფაქტორებია. აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად რეგულარულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები, რომელიც ემსახურება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლებას, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე. მათ შორის არიან ჯანდაცვის მუშაკები, სკოლებისა და უნივერსიტეტის მასწავლებლები, კულტურის სახლების, სათემო ცენტრებისა და მიზნობრივი მასპინძელი თემების წარმომადგენლები.

შეხვედრების მიზანია მონაწილეთა ცნობიერების ამაღლება ბენეფიციართა უფლებებისა და საჭიროებების შესახებ, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა განვითარდეს ეფექტური მომსახურებები მათ მხარდასაჭერად.

კომპონენტი III

მულტისერვისული ცენტრები თბილისსა და ბათუმში

მულტისერვისული ცენტრის მიზანია ბენეფიციარებისთვის უსაფრთხო სივრცის შექმნა და მათი კეთილდღეობის ხელშეწყობა სხვადასხვა მომსახურების მიწოდების საშუალებით, რაც მათ ეხმარება მნიშვნელოვანი და საჭირო უნარების განვითარებაში.